ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 2/13

ქ. თბილისი

02 დეკემბერი, 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის პაატა დოლიძის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი რევაზ ვადაჭკორია (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" ბიუჯეტის სახსრებით, 2013-2016 წწ-ში დაგეგმილი პროექტის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოინფორმაციული სისტემის და გიზ პორტალის შექმნა და შემდგომი განვითარება" განსახორციელებლად **პერსონალის სწავლებასთან დაკავშირებული მომსახურებების** შესყიდვა (CPV **კოდი 79632000)** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში დადებული ორავალწლიანი საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში პროექტის "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის შექმნა" განხორციელებას და პროექტის ფარგლებში შერჩეული მუზეუმ-ნაკრძალების ბაზაზე, მონაცემთა ბაზასთან ინტერაქტიული წვდომისთვის პროგრამული უზრუნველყოფების ინსტალაციას, მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომლებისთვის სწავლებების განხორციელებას, მონაცემთა ბაზასთან ინტერაქტიულ რეჟიმში მონაცემების შეკვსების მიზნით და შემდგომში მონიტორინგის

1.3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება მოცემულია დანართის სახით, რომელიც თან ახლავს ხელშეკრულებას და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (იხ.დანართი).

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის I ეტაპის ღირებულება შეადგენს 1500.00 (ერთი ათას ხუთასი) ლარს.

2.3 შესყიდვის ობიექტის II ეტაპის ღირებულება შეადგენს 2500,00 (ცხრაასსამოცდაათი) ლარს.

2.4 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 4000,00 (ოთხი ათასი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.5 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება: პირველი ეტაპი: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით; მეორე ეტაპი: 2016 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტებით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" თანამშრომლები: თენგიზ ჩოლოყაშვილი, გიორგი ხაბურზანია.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტო"
მის: ქ. თბილისი, თამუკაშვილის #5
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204562311

**გენერალური დირექტორის მოადგილე**

**პაატა დოლიძე**

**მიმწოდებელი**

რევაზ ვადაჭკორია
მის: ქ. თბილისი,
აღმაშენებლის გამზ. 52/54
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ა/ა # GE33BG0000000899168100
პ/კოდი: 01019058875

**ფიზიკური პირი**

რევაზ ვადაჭკორია

## საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში

## შერჩეულ მუზეუმ-ნაკრძალებში პროგრამული უზრუნველყოფების ინსტალაციის, მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომლებისთვის სწავლებების განხორციელებისა და გამართული ფუნქციონირების შემდგომი მონიტორინგის ტექნიკური დავალება

წინამდებარე ტექნიკური დავალება ითვალისწინებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში დადებული მრავალწლიანი საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში პროექტის "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის შექმნა" განხორციელებას და პროექტის ფარგლებში შერჩეული მუზეუმ-ნაკრძალების ბაზაზე, მონაცემთა ბაზასთან ინტერაქტიული წვდომისთვის პროგრამული უზრუნველყოფების ინსტალაციას, მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომლებისთვის სწავლებების განხორციელებას, მონაცემთა ბაზასთან ინტერაქტიულ რეჟიმში მონაცემების შევსების მიზნით და შემდგომში მონიტორინგს.

### ზოგადი აღწერა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატთან თანამშრომლობის ფარგლებში ახორციელებს პროექტს "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის შექმნა". პროექტის ფარგლებში შეიქმნა კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის ერთიანი კომპლექსური სისტემა, რომელიც აერთიანებს უძრავების, დამცავი ზონების, კედლის მხატვრობის, ქვაზე კვეთილობის, მოძრავების და მუზეუმ-ნაკრძალების, მუზეუმების კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს.

პროექტი მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის ეროვნული გეოინფორმაციული სისტემის შექმნას და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას სხვადასხვა ორგანიზაციების და ფართო საზოგადოებისათვის. ამჟამად მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის გის მონაცემთა ბაზაში მონაცემების შეყვანა და მუდმივ რეჟიმში გამოცდა.

ხელშეკრულების მიზანია პროგრამული უზრუნველყოფების ინსტალაცია, მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომლებისთვის სწავლებების განხორციელება მონაცემთა ბაზასთან ინტერაქტიულ რეჟიმში მონაცემების შევსების მიზნით და შემდგომი კონსულტირება.

### შესასრულებელი მომსახურების აღწერა

აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებს მუზეუმ-ნაკრძალში პროგრამული უზრუნველყოფების ინსტალაციას, გამართვასა და სწავლებების ჩატარებას. ამისათვის უნდა განხორციელდეს შემდეგი ტიპის სამუშაოები:

- პროგრამული უზრუნველყოფების ინსტალაცია.
- ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფების გამოყენების კუთხით ადგილობრივი კადრებისთვის სწავლებების განხორციელება.
- პერსონალის, პროგრამული ნაწილის და ტექნიკისა გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით პერიოდული მონიტორინგი და კონსულტირება.

### პროდუქტის ჩაბარება

- შესრულებული სამუშაოს ანგარიში. (ელექტრონულ და მყარ ფორმატში 2 ეგზემპლარად).

საბოლოო სახით მუზეუმ-ნაკრძალი უზრუნველყოფილი იქნება გის მონაცემთა ბაზასთან ინტერაქტიულად ინფორმაციის განახლებისათვის მომზადებული პერსონალით, გამართული ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფებით.

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

02 დეკემბერი, 2015 წელი

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე უფლებამოსილი წევრი „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების მე-17 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ **სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს** მიერ პერსონალის სწავლებასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვის პროცედურაში ხელშეკრულება #2/13 02.12.2015 ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

**გენერალური დირექტორის მოადგილე:**

პაატა დოლიძე

**ჯგუფის წევრი:**

თენგიზ ჩოლოყაშვილი

გიორგი ხაბურზანია